თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 23 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “მეტალისტი” (ხარკოვი) 3:1 (2:0).

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე (გურული, 88), სულაქველიძე, გუცაევი, მიქაბერიძე (მახარაძე, 55), შენგელია.

“მეტალისტი”: სივუხა, კრიაჩკო, კუზნეცოვი, პანჩიშინი, კამარზაევი, ივანოვი (შევჩენკო, 22), სოკოლოვსკი (ესკოვი, 50), ტალკო, იაკუბოვსკი, ტარასოვი, ბონდარენკო.

მსაჯი: ა. კირილოვი (მოსკოვი).

თბილისელებმა მეტოქის კარში პირველ დარტყმისთანავე გახსნეს ანგარიში. მსაჯმა ხარკოველთა საჯარიმო მოედნის მარჯვენა კუთხესთან ჯარიმა დანიშნა. გუცაევმა კარგად ჩააწოდა ბურთი სტუმართა კარისკენ, იქ კი ყველას დაასწრო შენგელიამ – ზუსტი თავური დარტყმით დინამოელები დააწინაურა. გატანილმა ბურთმა, ეტყობა, ერთგვარად დაამშვიდა მასპინძლები – მართალია, მათი ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ თავდამსხმელთა იერიშები, როგორც წესი, საჯარიმოს მისადგომებთან იშლებოდა. თითქმის 15 წუთი დასჭირდათ თბილისელებს, რომ მეორედ შეეწუხებინათ სივუხა – “მეტალისტის” მეკარემ კუთხურზე მოიგერია მიქაბერიძის დარტყმა. სხვათა შორის, 26–ე წუთზე ხელსაყრელ პოზიციაში აღოჩნდა იგივე მიქაბერიძე, მაგრამ ახლო მანძილიდან მიზანს ააცდინა. ასევე ზედიზედ ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა კეტაშვილს: ჯერ მისი გარღვევა სივუხამ უვნებელყო, შემდეგ კი თვით კეტაშვილმა დაარტყა არაზუსტად. სტუმართა იშვიათ შეტევებიდან აღსანიშნავია მხოლოდ ის, ტალკოს საკმაოდ სახიფათო დარტყმით რომ დამთავრდა (36–ე წუთი). ტაიმის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, როცა თბილისელებმა მეორედ მიაღწიეს წარმატებას. სიტუაცია თითქმის ისეთივე იყო, როგორც პირველი გოლისას. საჯარიმო იმავე ადგილიდან დაარტყა გუცაევმა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შორეულ ძელზე დაკიდა ბურთი, სივუხა ვერ შესწვდა მას და კაკილაშვილს ახლო მანძილიდან აღარ გასჭირვებია გოლის გატანა – 2:0.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაბელიას კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ ტარასოვის უძლიერესი დარტყმა ზედა ძელმა მოიგერია. ის, რაც ვერ მოახერხა ტარასოვმა, მეორე ტაიმის დასაწყისში გააკეთა იაკუბოვსკიმ: მისი დარტყმა იმდენად ზუსტი და ძლიერი გამოდგა, რომ თბილისელებმა მხოლოდ თვალი გააყოლეს ბურთს. 70–ე წუთზე სტუმართა შეტევა ტარასოვის თავური დარტყმით დამთავრდა, მაგრამ გაბელიამ კუთხურზე მოიგერია ბურთი. მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე კი მეორედ გამოიჩინა თავი შენგელიამ – მოედნის სიღრმიდან მიიღო გადაცემა, მიუახლოვდა მეტოქის კარს და საბოლოო წერტილი დაუსვა ანგარიშს – 3:1.

დავით ქავთარაძე.

“ლელო”, 24 ნოემბერი, 1985 წ.